

საქართველოს სამკურნალო მცენარეები
(ატლასური კარტოგრაფირების ასპექტები)

ანი შეროზია

ani.sherozia@gmail.com

გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. თბილისი. ი. ჭავჭავაძის N3

საქართველო უძველესი დროიდან მოყოლებული მუდამ მდიდარი იყო სამკურნალო მცენარეებით. ეს განპირობებულია საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ნაირგვარობით. საგულისხმოა, რომ მედიცინაში გამოყენებული მედიკამენტების საერთო რაოდენობს 40% მცენარეების ბაზაზეა შექმნილი, მაგრამ ასევე საგულისხმოა რომ, მცენარეების ნაწილი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. არც მათი ტერიტორიული განაწილების თავისებურებანია სათანადოდ შესწავლილი. იმცენარეების შესახებ მონაცემთა სიმცირე . მცენარეების გეოგრაფიული თავისებურების შესწავლის კუთხით ძალზე საყურადღებოა გარემო პირობები, რადგან არასწორმა განაშენიანებამ და გაუარესებულმა პირობებმა ზოგიერთი სახეობა გადაშენების პირას მიიყვანა. აუცილებელია მცენარეების იმ ჯგუფის გამოვლენა, რომლებიც ძალზე სათუთი მოსავლეელია და გარემო პირობებიც შესაბამისი ჭირდება. სამკურნალო მცენარეების საკმაოდ ფართო სპექტრი არსებობს და ის მოიცავს როგორც ველურ ასევე კულტურულ მცენარეებს.

კვლევის მიზანია საქართველოს სამკურნალო მცენარეების ტერიტორიული განაწილების თავისებურებების გამოვლენა (აბსოლუტური სიმაღლის, გარემო პირობებისა და რეგონების მიხედვით) და კარტოგრაფირება მათი სამკურნალო მიზნების შესაბამისად. ასევე მიზნად დავისახეთ მცენარეთა სხვადასხვა სახეობის როლის განსაზღვრა ხალხურ მედიცინაში, რადგან მოგვეხსენება რომ ფიტოთერაპიას უძველესიდან დღემდე თანამედროვე მედიცინაში დიდი ადგილი უჭირავს და თითოეული ბალახეულის სწორი და მიზანმიმართული გამოყენება ემსახურება მრავალი სახის დაავადების განკურნებას.

გარდა იმ მცენარეებისა, რომელიც დიდი ხანია უკვე დანერგილია მედიცინაში, კვლევის ეტაპზე მოხდება არაერთი სხვა სამკურნალო მცენარის პოტენციის გამოვლენა (სამომავლოდ ხალხურ მედიცინაში მისი გამოყენების გზების ჩვენება). ამ ეტაპზე ამ რთული და შრომატევადი საქმის სამუშაო პროცესიდან წარმოგიდგენთ რამდენიმე ბალახოვან მცენარეს, რომელიც ერთმანეთისაგან განსხვავდება სხვადასხვა ნიშან-თვისებებით. ესენია: გავრცელების არეალები (იშვიათი, ან ფართო გავრცელებით) ასევე მოხდება სამკურნალო მცენარეების დადებითი და უარყოფითი მხარეებისა და თითოეული მათგანის ადამიანის ჯამრთელობაზე ზეგავლენის შეფასება .